10282/3-79/21 2 08102021

10282/3-79/21
08-10-2021

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის მინისტრს,

ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

მოგეხსენებათ, რომ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთს რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისთვის (Kuwait Fund) გამოყოფილია 30 მლ. ლარი.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია რა ეტაპზეა აღნიშნული გზის მშენებლობა და 30 მლ-დან რამდენია უკვე ათვისებული.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ტარიელ ნაკაიძე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

3797-01-2-202111031535

N 01/3797
03/11/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ტარიელ ნაკაიძეს

ბატონო ტარიელ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 8 ოქტომბრის №10282/3-79/21 განცხადება (სამინისტროში რეგისტრაციის №6083/01; 08.10.2021), რომელიც შეეხება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან (შემდგომში - პროექტი) დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ პროექტი დაყოფილია სამ ლოტად: ხულო-გოდერძის უღელტეხილის კმ 0+000-კმ 4+007 მონაკვეთი (ლოტი - 1.1); ხულო-გოდერძის უღელტეხილის კმ 5+195 - კმ 29+732 მონაკვეთი (ლოტი - 1) და გოდერძის უღელტეხილი-ზარზმას მონაკვეთი კმ 0+000 -კმ 17+380 (ლოტი - 2).

პროექტის თითოეულ ლოტზე მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოები. სამუშაოების დასრულება ლოტი 1.1-ის შემთხვევაში გათვალისწინებულია 2021 წლის დეკემბერში, ლოტი 1-ზე - 2023 წლის იანვარში, ხოლო ლოტი-2-ზე 2022 წლის დეკემბერში.

პროექტის ფარგლებში, 2021 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებიდან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ათვისებულია 20 855 831.39 ლარი.

პატივისცემით,

ილია ბეგიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველო, 0160 (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722